პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი. № 126 (12942) | კვირა, 31 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

ბავშვთა დაცვის დღე სიცოცხლის, მომავლის დიადი დღესასწაულია

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი აზერბაიჯანში

მსოფლიო ამ დღეებში

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

მოდის სიცოცხლე...

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დაე მგე იყოს მუდამ!

ბგონიათ მზეს მხრებზე დაიდებენ და არ ეცხელებათ, ზღვას გატობავენ და მუხლებამდე შემოსწვდებათ. ასეთები არიან ჩვენი სისხლ-ხორცნი, ჩვენი პირმშონი, ჩვენი ანცი ბავშვები, ცა ქუდად მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად. ამიტომაც არ უხდება ცას ღრუბელი და ელვა-მეხი, დედამიწას ხორშაკი და ეკალბარდი. არც ერთ სულიერს ისე არ უყვარს ჩვენი პლანეტა, როგორც ბავშვებს — ამავე პლანეტის მოსახლეობის ერთ მესამედს.

ამ ალალ, წმიდა სიყვარულს პლანეტამ მაგიერი უნდა მიუზღოს, თორემ რასა ჰგავს ის, რაც ზოგჯერ მომხდარა, რასაც ზოგი ახლაც იმუქრება— ომი! ომი კი არა, უბრალოდ, ერთი რამე სტიქიური უბედურება, და პირველნი ბავშვები იხოცებიან!.. თვით ცხოვრების დაბალი დონე და გაჭირვება ბავშვების პირველი მტერია. კონგოში, მაგალითად, ათიდან ექვსი ბავშვი ვეღარ აღწევს თხუთმეტი წლის ასაკს. და კიდევ ომი?! ომის მუხლუხებს ქვეშ პირველნი ბავშვები ჰყვებიან, ვეღარსად გაურბიან. ომი ისე მიეხალისება ხოლმე ბავშვს, როგორც გველი ბაჭიას. ეს არ უნდა მოხდეს! არც ხიროსიმა უნდა გამეორდეს. ბავშვს უყვარს ბევრი წყალი, ლაღი ჰაერი, ნათელი შუქი, ხოლო ატომს თუ შეიყვარებს, მხოლოდ ჩვეულებრივ სასარგებლო მანქანად გადაქცეულს.

უნდა შევაკავოთ ბნელი ძალები! არ არსებობს მოწრდილი ადამიანისათვის უფრო სიხლხორცეული, საპატიო მოვალეობა, როგორიც ბავშვის დაცვაა.

ადამიანთა სანუკვარი გულისნადები გამოხატა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, როცა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დაარსა. ამ დღეს ხვალაც, უკვე მეთხუთმეტედ აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა. ეს იქნება მშვიდობისათვის ბრძოლის დიადი დემონსტრაცია, მშვიდობის კიდევ ერთი დიდი შეტევა ომზე. ბავშვთა დაცვისათვის გაჩაღებულ ამ დიდსა და კეთილშობილურ მოძრაობაში ისმის საბჭოთა ქვეყნის მხნე ნაბიჯი და იმედიანი შემოძახილი. საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი კარგი, რასაც ადამიანი ქმნის, ბავშვებისათვის არის. ხალი თავის ნაამგარს უანდერძებს პატარებს, იმათ, ვინც მის შემდეგ დაეუფლება შრომით მოპოვებულს. ჩვენი ქვეყანა ბავშვის უგულითადესი მეგობარი და მოსიყვარულეა.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ, როგორც კი მტერზე შემართული ლულაგახურებული თოფი დაუშვა, პირველ რიგში ბავშვები მიმოიკითხა. ერთერთი პირველი დეკრეტი, 1918 წელს გამოცემული, ეხებოდა დედათა და ბავშვთა დაცვას. ხელისუფლებამ თავს იდო მათთვის ზრუნვა. 1919 წელს ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი ბავშვთა დაცვის საბჭოს შექმნის შესახებ ყველა სახალხო კომისარიატს და უწყებას ავალდებულებდა თვალყური ედევნებინა იმისათვის, რომ ბავშვებს ჭმონდათ საკმელი, ტანსაცმელი, სამედიცინო დახმარება.

დიდი ლენინის, მის მიერ შექმნილი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულმა ამ პირველმა ღონისძიებებმა შემდგომ თავისი გაზლა ჰპოვა დედებისა და ბავშვებისათვის უდიდეს მშობლიურ მზრუნველობაში, რასაც ყოველდღიურად იჩენენ ლენინური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი. ბავშვის შობა და აღზრდა ჩვენს ქვეყანაში გმირობასთან არის გათანაბრებული. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 1.588 ქალია, რომლებსაც ათი და მეტი შვილის შობისა და აღზრდისათვის გმირი დედის საპატიო წოდება მიენიჭათ. ახლა რამდენია სახელოვანი დედა, რომლებსაც მრავალშვილიანობისათვის დაწესებული ორდენები და მედლები აქვთ მიღებული! ჩვენს ქვეყანაში ადამიანი დაბადებიდანვე გარემოცულია ყურადღებითა და ზრუნვით.

ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი მრავლისმეტყველი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა ბავშვებისათვის, მათი აღზრდისათვის. საქართველოში 838 სამბავშვო ბაგა და ბაღია, რომლებშიც 65.628 ბავშვი იზრდება და მხიარული ყივილ-ხივილით ავსებს არე-მიდამოს. 69 სკოლა-ინტერნატში სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობს და იზრდება 20.000 მოზარდი. მარტო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 4.271 ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში 797.026 ბავშვი სწავლობს. განხორციელებულია საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლება.

მედიცინის ათასობით მუშაკი, ათობით ბავშვთა სანატორიუმები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, პიონერიული ბანაკები ჩვენი რესპუბლიკის ბედნიერ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება. მთელ საბჭოთა კავშირში ორმოცი მილიონამდე მოსწავლეა, რომელთა იდეალია შემოქმედებითი შრომა. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ კანონის განხორციელების გზაზე ფართო ჰორიზონტი იშლება ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე. შეგნებული სასარგებლო შრომა, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული სწავლებასთან, მოსწავლე ახალგაზრდობის მოთხოვნილებად გადაიქცა.

პარტიამ თავის XXII ისტორიულ ყრილობაზე მიღებულ დიად პროგრამაში ჩაწერა: თვითეული ბავშვისათვის ბედნიერი ბავშობის უზრუნველყოფა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და კეთილშობილური ამოცანაა.

ამ ბედნიერებას მოკლებული არიან ბავშვები კაპიტალის ქვეყნებში, სადაც ომისათვის გამალებული მზადება ნთქამს ქვეყნის ეკონომიკას და არვის არ სცალია ბავშვის ბედისათვის იზრუნოს. თვით ყველაზე მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში რვა მილიონ კაცს მხოლოდ ზუთ კლასამდე განათლება აქვს, მილიონობით ადამიანმა არც წერა იცის, არც კითხვა. მსოფლიოს კოლონიურ და ნეოკოლონიურ ქვეყნებში უმწეოა ბავშვთა მდგომარეობა.

ბავშვების ბედისათვის, მსოფლიოში მშვიდობისათვის პასუხისმგებელია ყოველი ქვეყნის მთავრობა. ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანმა ომს უნდა უთხრას: არა! ხმა აღიმაღლოს ომის გამჰაგებელთა წინააღმდეგ. ყველა ადამიანმა რომ ერთად ამოისუნთქოს, ქარიშხალი იქნება. ომის საწინააღმდეგო ამნაირ ძალად უნდა იქცეს ყველა ადამიანის ერთობა და სიმტკიცე მშვიდობისათვის. ამას მოითხოვს კაცობრობის ინტერესი, ამას გვავალებს ჩვენი პასუხისმგებლობა იმის ბედისათვის, ვისაც ჰქვია ნორჩი თაობა. დე მისთვის მთელ ჩვენს პლანეტაზე მუდამ იყოს მზე!

ამისათვის იბრძვის საბჭოთა კავშირი — მშვიდობისათვის ბრძოლის მედროშე!

სადილი კრემლში

29 მაისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს სადილი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვალტერ ულბრიხტისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

ამხანაგ ვ. ულბრიხტთან ერთად იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ, აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში რუდოლფ დელინგი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიჭოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხ. არუთინიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. თ. უსტინოვი, ბ. ე. დიმშიცი, მ. ა. ლესეჩკო, პ. თ. ლომაკო, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვები. (საკდესი).

ვ. ულბრიხტი მოსკოვში

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვ. ულბრიხტი და მასთან ერთად მოსკოვში ჩამოსული გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მთავრობისა და იმ დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეები, რომლებიც შედიან დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში, 30 მაისს იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს იგი.

საპატიო სტუმარმა და მისმა თანამგზავრებმა პატივი სცეს აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა ხსოვნას, რომლებიც დაკრძალულ არიან კრემლის კედელთან. ის ადგილები, სადაც დამარხულია ო. ვ. კუუსინენის, კლარა ცეტკინისა და ფრიც

ეკერის სანეშტე ურნები, სტუმრებმა შეამკეს გვირგვინებით.

30 მაისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის საუბარი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიჭოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

გერმანიის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ დოქტორმა ერიხ აპელმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრმა დოქტორმა გიუნტერ მიტაგმა და სხვებმა.

საუბრის დროს, რომელიც ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, გერმანელმა ამხანაგებმა ილაპარაკეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე. გაიმართა აზრთა ყოველმხრივი გაზიარება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ბევრ საერთაშორისო პრობლემაზე.

ყველა განხილულ საკითხზე მიღწეული იყო შეხედულებათა სრული ერთობა.

30 მაისს საღამოს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა მეუღლითურთ და მისმა თანმხლებმა პირებმა სსრ კავშირის დიდ თეატრში ნახეს ლ. მინკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში, ვალტერ ულბრიხტთან და მის მეუღლესთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, ა. პ. კირილენკო მეუღლითურთ, ა. ი. მიჭოიანი, ი. ვ. ანდროპოვი და სხვები.

მაყურებლები ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ლოჟაში ამხანაგებს ვალტერ ულბრიხტს, ნ. ს. ხრუშჩოვს, სხვა გერმანელ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, როცა ისინი ლოჟაში შემოვიდნენ. (საკდესი).

მაღალი ჯილდო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეკარტოფილეობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დიდდპროდუქტიული ჯიშების კარტოფილის შექმნისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის პროფესორ ალექსანდრე გიორგის ძე ლორხს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროო“. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ვ. ვ. ბერიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქართული ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორ ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი,

მეგობრობა და ძმობა

მრავალათასიანი მიტინგი გაქოს სტადიონზე

ბაქო. 30 მაისი (საკდესი). თითოეული ხალხის ისტორიაში ხდება ამბები, რომლებსაც დრო ვერ წაშლის. წლები ხვეწავენ მათ, როგორც ძვირფას თვლებს და ახალ-ახალ წახნაგებს უჭვრეტენ ხალხს. ასეთი მოვლენაა რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლა. სწორედ ეს ისტორიული აქტი გახდა შემობრუნების პუნქტი აზერბაიჯანელი ხალხის ბედში, შესაძლებლობა მისცა მას რუს და ჩვენი საამშობლოს სხვა ხალხებთან მჭიდრო კავშირით გასულიყო პროგრესისა და შემოქმედების ფართო მთავარ გზაზე. ამას კიდევ ერთხელ დიდი დამაჯერებლობით ამბობდნენ დღეს ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეები, რომელიც ბაქოში გაიმართა.

ქალაქის 50 ათასამდე მშრომელმა შეავსო ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამირკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე გ. ნ. ბოჩკარიოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიჭოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხ. არუთინიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. თ. უსტინოვი, ბ. ე. დიმშიცი, მ. ა. ლესეჩკო, პ. თ. ლომაკო, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვები.

ბაქოს, 30 მაისი (საკდესი). თითოეული ხალხის ისტორიაში ხდება ამბები, რომლებსაც დრო ვერ წაშლის. წლები ხვეწავენ მათ, როგორც ძვირფას თვლებს და ახალ-ახალ წახნაგებს უჭვრეტენ ხალხს. ასეთი მოვლენაა რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლა. სწორედ ეს ისტორიული აქტი გახდა შემობრუნების პუნქტი აზერბაიჯანელი ხალხის ბედში, შესაძლებლობა მისცა მას რუს და ჩვენი საამშობლოს სხვა ხალხებთან მჭიდრო კავშირით გასულიყო პროგრესისა და შემოქმედების ფართო მთავარ გზაზე. ამას კიდევ ერთხელ დიდი დამაჯერებლობით ამბობდნენ დღეს ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეები, რომელიც ბაქოში გაიმართა.

— აზერბაიჯანის უძველეს მიწა-წყალზე მოვიდა მეგობრობის, „გაზაფხულისა“ და ძმობის დღესასწაული, — თქვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა, რომელმაც გასხნა მიტინგი. — ჩვენთან ერთად რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავს ზეიმობს ჩვენი მრავალეროვანი საამშობლოს ყველა ხალხი, რომელთა წარმოგზავნილებს შესაძლებლობა გვაქვს მივესალმოთ დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა და ზეიმურობა მიანიჭა ჩვენს დღესასწაულს რესპუბლიკის დაჯილდოებამ ლენინის ორდენით თქვა შემდეგ ამბ. ახუნდოვმა. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან მიტინგის მონაწილეებს და. მათი სახით აზერბაიჯანის ყველა მშრომელს მოულოცა მაღალი ჯილდო, უდიდესი მადლობა უძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მუდმივი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რასაც იჩენენ აზერბაიჯანის რესპუბლიკისადმი.

ამხ. ახუნდოვმა ხაზი გაუსვა, რომ აზერბაიჯანის დაჯილდოება მარტო მისი დამსახურებისა და მიღწევების აღიარება როდია, არამედ ავანსია ახალი, დიდი საქმეებისათვის.

აზერბაიჯანულ ძველ ხალხურ თქმულებაში თქვა დასასრულ ამბ. ახუნდოვმა, ლაპარაკია ბედნიერების წყაროზე, „ომლის პოვნას საუკუნეთა მანძილზე ამაოდ ცდილობდა ჩვენი ხალხი, ეს ბედნიერება აზერბაიჯანელმა მშრომელებმა მოიპოვეს რუს ხალხთან, ჩვენი საამშობლოს ყველა ხალხთან მეგობრობით, მათ ეს ბედნიერება მოიპოვეს იმ იდეებში, რომლებიც გამოაცხადა კომუნისტურმა პარტიამ და რომელთა ერთგული იქნებიან ყოველთვის და ყველაფერში.

ტრიბუნაზე ზედიზედ ერთმანეთს ცვლიან სკკპ XXII ყრილობის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის დანადგარის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ზ. შეკუროვი, ვორონეჟის სახელობის ქარხნის მღარავი ი. კორიტინი, ფიზულის საწარმოო სამმართველოს 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი შ. გასანოვა, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ხალილოვი. რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ისინი პირობას დებენ, რომ კვლავაც განამტკიცებენ და განვითარებენ რუსეთის ხალხთან, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ცხოვლმყოფელ მეგობრობას. ორატორებმა მხურვალედ მოიწონეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა — ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აყვავების პოლიტიკა.

აზერბაიჯანის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ ასე დიდად შეაფასეს რესპუბლიკის წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში — ლენინის ორდენით დაჯილდოვეს აზერბაიჯანი, და აღუთქვამენ, რომ აზერბაიჯანელი ხალხი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ღირსეულად შეასრულონ რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მესამე დღეა, თქვა მან, რაც ჩვენ ყველა მომმე რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად აზერბაიჯანის კურთხეულ მიწა-წყალზე ვიმყოფებით. ჩვენ გარემოცულნი ვართ დიადი, ბეშმარიტად საერთო-სახალხო დღესასწაულის სასიხარულო ატმოსფეროთი. და ეს გასაგებია. ყველა აზერბაიჯანელს ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანელი ხალხის ბედისათვის ძმურ კავშირს დიდ რუს ხალხთან.

ამ დღეებში კიდევ უფრო აყვავდა და დამშვენდა ლამაზი ბაქო — სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქალაქი, ტრადიციებისა, რომლებსაც კიდევ უფრო ამ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

200.000 ტონა ჩაისთვის!

ამხანაგო მეჩაიეებო! სამშობლო თქვენგან მოელის ახალ საგმირო საქმეებს — შვიდწლედი შეასრულოთ ექვს წელიწადში!

მათ თავი ისახელეს

გალის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უხვად მოდის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დღითიდღე ძლიერდება კრეფის ტემპი. გუშინ რაიონში მოიკრიფა 350 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“. სულ მოკრეფილია 2.400 ტონაზე მეტი.

კრეფაში წინ მიდის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. მან მოკრეფილი აქვს 150 ტონა ჩაის ნედლეული, ჭუბერხინჯის კოლმეურნეობაში მოკრეფილია 80 ტონა, სანერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 78 ტონა, მზიურის კოლმეურნეობაში — 45 ტონა, დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში — 80 ტონა, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში — 550 ტონაზე მეტი.

ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა 30 მაისისათვის სულ მოკრეფეს 2.350 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ერთ დღეს მოკრეფეს 250 ტონა. მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა ყოველდღიური კრეფა უფრო გაადიდონ.

განსაკუთრებით კარგად არის ორგანიზებული ჩაის კრეფა ხაბუმის, ნაფიჩხოვოს, მუხურის, ღაწურწუმის, ზანის კოლმეურნეობებსა და ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის მეორე განყოფილების მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს მიიღონ 550 ტონამდე ჩაის ფოთოლი. წარმატებით შრომობენ მეცხრე კომუნისტური შრომის ბრიგადის მეჩაიეები. ისინი გეგმებს ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ.

შეჯიბრების კოცონი

გათუმი. (საკ. კორ.) — დავაბოთოთ შეჯიბრების კოცონი! მაისის ბოლომდე შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულების 35 პროცენტი! — ასეთი ლოზუნგები ამშვენებს ახლა აჭარის საბჭოთა მეურნეობებისა და კომლმეურნეობების ჩაის პლანტაციების მისასვლელებსა და გზაჯვარედინებს.

— მივცეთ სამშობლოს 33.130 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი“! ეს არის აჭარელ მკრეფავთა წლევანდელი ვალდებულება, რისთვისაც ახალი ძალით გაჩაღდა ლაშქრობა. ყოველდღიურად იკრიფება 250-300 ტონა მწვანე ოქრო“.

ჩაის კრეფის პირველი დღეებიდანვე დაწინაურდა ქართული ჩაის აკვანი — **ჩაქვის** ჩაის საბჭოთა მეურნეობა, (დირექტორი ლ. წულუკიძე). აქ უკვე მოკრიფეს 300 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასევე იყოჩაღეს **ოჩხამურის, ცეცხლაურისა და სალიბაურის** საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, **ხუცუბნის, დაგვის, ახალსოფლისა** და **სარფის** კოლმეურნეობების მკრეფავებმა.

სალიბაურელმა **ზ. ზაიფიდიმ**, ახალსოფელმა **მ. გურგენიძემ**, ხუცუბნელმა **ც. თხილაიშვილმა**, ლეღველმა **დ. ჭათამაძემ** უკვე მოკრიფეს 100-150 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. კრეფის ყოველდღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ ფერეული **ზ. ქართველიშვილი**, ოჩხამურელი **ო. პლეშივსკაია**, ცეცხლაურელი **ვერა ჩუმაშვილი**, სალიბაურელი **ნ. შარაძე** და **ნ. ცეცხლაძე**.

ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს ჭლოუს კოლმეურნეობის ჩაის მომლები **ბ. ხახუბია** სწონის ჭოწინავე კოლმეურნის **ნორა ჯონუას** მიერ მოკრეფილ ჩაის ფოთოლს.

ფოტო გ. ალპერტისა.

ჰექტარზე 8 ტონა ჩაი

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეხუთე აგროგანყოფილ ებ ი ს № 25 კომუნისტური შრომის ბრიგადის მეჩაიეები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ და აქტიურად დგანან კომუნისტური შრომის ავანგარდში.

ჩვენი ბრიგადა ყოველთვის როდი იყო მოწინავე. ხუთი წლის წინათ საშუალოდ მოსავლიანობა ჰექტარზე ბრიგადაში სამ ტონას არ აღემატებოდა. მაგრამ მოსავლიანობის გადიდებისათვის უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებანი განვახორციელეთ. მოვსპეთ ჩაის სიმეჩხრე.

ყველა მეჩაიეს შეეასწავლეთ აგროწესები, ნოვატორ მეჩაიეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად ჩვენ ახლა სერიოზულ წარმატებებს ვაღწევთ.

შარშან ბრიგადის მეჩაიეებმა 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7,6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. საფუძვლიანად გავეცანით ქობულეთელ და მახარაძელ მეჩაიეთა პატრიოტულ თაოსნობას და გადაწყვეტეთ მომდინარე წელს თვითეულ ჰექტარზე 400 კილოგრამით მეტი „მწვანე ოქრო“ დავამზადოთ, ვიდრე გასულ წელს. წელს თვითეულ ჰექტარზე მოკრეფეთ 8 ტონა ჩაის ფოთოლს. სულ სახელმწიფოს ჩავაბარებთ 96 ტონა „მწვანე ოქროს“.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის თავდადებულად შრომობენ ბრიგადის წევრები. დავიწყეთ ჩაის ფოთლის კრეფა. მაღალნაყოფიერ შრომას ეწევიან მეჩაიეები ა. მანასიანი, ჯ. ლეკიშვილი, ნ. მიქაია, მ. ჯიჯელავა, ა. ხოდერიანი და სხვები. თვითეული მათგანი 5-5 ტონა ჩაის ფოთლის მისაღებად იბრძვის.

ი. გამსახურდია,

გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 25 კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

აპრილ-მაისის გეგმა შეასრულეს

წყალტუბო. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა მარტო უკანასკნელ ორ დღეში 307 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული მოკრიფეს. დაწინ

ფეროს ახალი გოლიათები

ნარმოების მუშაკებს თავიანთ ცხოვრებაში აქვთ დაუვიწყარი დღე, რომლის გახსენებაზე თვალწინ წარმოუდგებათ წარსული და აწმყო. მათ ერთიმეორეს ადარებენ და ისტორიულად მოკლე პერიოდში მომხდარი ცვლილებებს გამო განცვიფრებული რჩებიან. ზესტაფონის ფეროშენადნობელებისათვის ასეთ დაუვიწყარ მეორე დღედ ჩაიწერა ისტორიაში 1964 წლის 25 მაისი. აქ მწყობრში ჩადგა თავიანთი წარმადობით უბადლო ორი დახურული ღუმელი, რომლებიც უდიდესნი არიან მთელ საბჭოთა კავშირში.

უყურებ ამ უზარმაზარ გოლიათებს, და არ შეიძლება არ გაგახსენდეს 1933 წლის 30 ოქტომბერი. ამ დღეს დაიბადა ზესტაფონში პირველი ქართული ფეროშენადნობი. ამ ამბავს მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 1879 წელს აკაკი წერეთელის თაოსნობით დაიწყო ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავება. ქართველმა მარგანეცმა მსოფლიოში გაითქვა სახელი... მაშინვე ჩაისახა საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების იდეა. მოწინავე ქართველი მოაზროვნეები იმთავითვე მოითხოვდნენ მარგანეცოდან ფერომარგანეცის გამოდნობას. 1879 წლის ბოლოს სერგეი მესხი წერდა, მარგანეცის მადნის გამოყენება „რკინიდან ფოლადის გაკეთების დროს“ შეიძლებაო.

თვით აკაკი 1880 წლის 8 იანვარს „დროებაში“ წერდა: „ქვა-გუნდა, როგორც მადანი, თავისთავად არაფრად ღირს. ის სასარგებლოა მხოლოდ როგორც მომმბარე მადნეული, ანუ მასალა სხვადასხვა მადნეულობისა... რუსეთში ევროპიდან მოაქვთ ეს მადანი, მაგრამ ძალიან ცოტა: წელიწადში ასი ათასი ფუთი, ფასი ფუთისა ოთხი აბაზია და გადაკეთებული, ე. ი. გადარკინებულის — ორი მანეთიდან სამამდინ“. როგორც ვხედავთ, დიდი მგოსანი, მართალია, გაკვრით, მაგრამ მაინც მოუწოდებს ფერომარგანეცის წარმოების დაწყებისაკენ...

უცხოეთში იზრდებოდა მეტალურგია. იქ მიღიოდა ჭიათურის ძვირფასი მადანი. საკმარისია ითქვას, რომ 1879 წლიდან 1928 წლამდე ჭიათურიდან საზღვარგარეთ გაუტანიათ 14 მილიონი ტონა მარგანეცი, რითაც სამშობლომ ათეულ მილიონობით მანეთი დაკარგა.

ინჟინერი გ. დეკანოზიშვილი 1893 წელს „ივერიაში“ აყენებდა საკითხს, რომ უცხოეთში გატანილიყო არა ნედლი მადანი, არამედ ფერომარგანეცი, რითაც გაიზრდებოდა ხალხის შემოსავალი.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის რჩევით ამ საკითხით დაინტერესებულან უცხო ინჟინრებიც. 1911 წელს ინჟინერ როპს ნ. ნიკოლაძისათვის მოუწერია:

„ჩვენ ერთიმეორეს ვიცნობთ როგორც ელექტრომეტალურგიის მგზნებარე მომხრეებს, მაგრამ... ოცნების სფეროს არაა სოდეს გავცილებულვართ... პირადად დავწმუნდი, რომ რუსეთში შეიძლება ელექტრომეტალურგიის კარგად დაყენება, და გადავწყვიტე მოვკიდო ხელი მის ფართოდ განვითარებას... კავკასიაში ბევრია კარგი მადანი ?- და წყალიც უხვად არის. მე ვიშოვნი კაპრალეს... საქმის განხორციელებისათვის. მოდით ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს და ბოლოს და ბოლოს განვახორციელოთ ჩვენი ოცნება. დავიწყოთ საქმე, და შემდეგ ის ახალგაზრდობამ განაგრძოს“...

ფერომარგანეცის ქარხნის საქართველოში აგებას მოითხოვდა ამ საქმის გამოჩენილი სპეციალისტი ინჟინერ-ქიმიკოსი ლ. რომანოვი. მას ჯერ კიდევ 1911 წელს თბილისში უცდია ჭიათურის მადნიდან ფერომარგანეცის გამოდნობა. მას მრეწველთა XIV ყრილობაზე ვრცელი და საინტერესო მოხსენება გაუკეთებია ფერომარგანეცის წარმოების დაწყების აუცილებლობაზე და მოუთხოვია ქარხნის აშენება...

მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა... ფეროშენადნობთა ქარხნის აშენების იდეას ხორცი შეესხა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში. ჯერ კიდევ 1928 წელს დიდუბეში დაიწყო ფეროშენადნობთა საცდელი საამქროს მშენებლობა, რომელმაც 1930 წელს 21 ივნისს მოგვცა შენადნობი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს იყო ფერომარგანეცის პირველი შენადნობი საბჭოთა კავშირში. ამ საშვილიშვილო საქმის სულისჩამდგმელი და თაოსანი იყო ცნობილი მეცნიერი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ამ დიდ საქმეს. დიდუბის საცდელი საამქროს ტექნიკურ ხელმძღვანელად ითვლებოდა იზოგაისა და ენაკიევის მეტალურგიულ ქარხნებში ნაწრთობი ნიჭიერი ინჟინერ-მეტალურგი ირაკლი ლორთქიფანიძე.

დიდუბეში ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხნის დაპროექტებას-მშენებლობას.

ქართული საბჭოთა მეტალურგიის პირმშოს მშენებლობით იყო ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მძიმე ინდუსტრიის სარდალი სერგო ორჯონიკიძე.

დადგა ნანატრი დღეც. 1933 წლის ოქტომბრის ბოლოს დამთავრდა ქარხნის მშენებლობა. 30 ოქტომბერს 15 საათსა და 38 წუთზე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაიბადა პირველი ქართული შენადნობი. ამ დღიდან სამუდამოდ დაირღვა საქარის ველის მყუდროება. იგი დაარღვია ელექტროღუმელების მძლავრმა გუგუნმა. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. იოლი როდი იყო ახალი ქარხნის რთული ტექნოლოგიის ათვისება, მაგრამ რიგითი მდნობლები თუ ინჟინერ-მეტალურგები უძილო ღამეებს ათენებდნენ, წინსვლის გზებს ეძებდნენ, სიძნელეებს სძლევდნენ, ახალ-ახალ ზღუდეებს იპყრობდნენ...

ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ახალი მარკის შენადნობთა ათვისებაში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას საბჭოთა კავშირის ქარხნებს შორის პირველი ადგილი უჭირავს. აქ აითვისეს 24 მარკის შენადნობის წარმოება, და იგი სამართლიანად ითვლება საკავშირო ქარხანა-ლაბორატორიად. სამამულო ომის მრისხანე დღეებში პირველად საბჭოთა კავშირში ზესტაფონელმა მეტალურგებმა მიიღეს მაღალპროცენტიანი ლიეთონური მარგანეცი, რისთვისაც პროფესორ რ. აგლაძეს და ინჟინერ გ. სიორიძეს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭათ. ფეროშენადნობთა ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა დაიმსახურეს ინჟინრებმა ი. კეკელიძემ, ირ. ლორთქიფანიძემ, ვ. მელაძემ, ლ. მაღლაკელიძემ, ტ. შათირიშვილმა, დ. ჩიკაშუამ.

ქარხნის კოლექტივი ვაჟკაცური შემართებით შრომობს და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს შვიდწლედის ვადამდე გაწაღდებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ქართველი მეცნიერ-მეტალურგები და პრაქტიკოსები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ისინი მტკიცე, შეთანაწყობილი შემართებითი შრომით მუდამ ახალს, პროგრესულს ეძებენ მეტალურგიაში. დღევანდელი ღია ელექტროღუმელები ვეღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნილებას, ძნელია მეტალურის თანამედროვე ბიჯიკო საბანაძეს, ინჟინრებს — საამქროს უფროსს ილმარი კალანდაძეს, საამქროს ოსტატს არჩილ ცქიტიშვილს და ლევან ცქიტიშვილს.

შვიდწლედის ადამიანების გმირული შემართება

რგებთან ერთად ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს რთული და მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა.

ზესტაფონში ჩატარებული ცდების შემდეგ ქართველმა მეცნიერმა მეტალურგებმა სამრეწველო ცდები გაიმეორეს ზაპოროჟიეში და ალმაზნაის ფეროშენადნობთა ქარხნებში. იდეამ გაიმარჯვა. აშკარა გახდა დახურული ელექტროღუმელების დიდი უპირატესობა. გადაწყდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში აეგოთ ახალი საამქრო.

გმირული და თავდადებული შრომით მშენებლებმა და მემონტაჟეებმა დაამთავრეს ორი ღუმელის მშენებლობა. ყველაფერი გულდასმით შეამოწმეს და ისინი მეტალურგებს გადასცეს საექსპლოატაციოდ. ამ დღიდან მშენებლებს, მემონტაჟეებს, ქარხნის მთელ კოლექტივს, მეცნიერ-მეტალურგებს მშვიდად ადარ სძინებიათ. დღედაღამ თავს დასტრიალებდნენ ღუმელების რთულ მოწყობილობასა, ზუსტად და ფრთხილად ამოწმებდნენ ყველაფერს.

ღუმელის საწარმოო გამოცდა წარმატებით მიმდინარეობდა. ცხადია, ადგილი ჰქონდა შეფერხებებსაც. მაგრამ ისინი გამოცდილი მემონტაჟეების, მეცნიერი და პრაქტიკოსი მეტალურგების დახმარებით დროულად გამოსწორდა. პირველი ორი დახურული ელექტროღუმელი მზად იყო კაზმის ჩასატვირთად.

ახალ ღუმელებში პირველი შენადნობის მიღების ბედნიერება წილად ხვდათ ბრიგადის ხელმძღვანელს ვახტანგ ნებერიძეს, მდნობელებს კოსტა ხიჯაკაძეს, გიორგი მახათაძეს, უფროს მექურეს იაშა უფფარაძეს, მექურეს ოთარ შავიძეს, მექურის თანაშემწეს ბიბიკო სამხარაძეს, ინჟინრებს — საამქროს უფროსს ილმარი კალანდაძეს, საამქროს ოსტატს არჩილ ცქიტიშვილს და ლევან ცქიტიშვილს.

პუტტს მართავდა თამარ ბრეგვაძე.

თუმცა ძნელი იყო იმის გარჩევა, თუ ვინ ემსახურებოდა ღუმელს. ყველა გამოცდილი მეტალურგი და მეცნიერი იქ ტრიალებდა. დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს ტექნოლოგიურ პროცესებს და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრებს, ფრთხილობდნენ ტექნოლოგიური პროცესების შესწორების დროს. ავტომატური მართვის პულტზე ისრები გვამცნობენ, რომ ყველა პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს.

უყურებ ამ გიგანტურ ნაგებობას, და განცვიფრებული რჩები, რომ ღუმელის მართვისათვის მაქსიმალურად არის გამოყენებული მექანიზაცია-ავტომატიზაცია. ტექნოლოგიური პროცესის მართვა ხორციელდება პულტიდან, ღუმელები აღჭურვილია თანამედროვე საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებით. აქ საუცხოოდ არის მოწყობილი კაზმის მექანიკური ჩატვირთვა და ლითონის მანქანური ჩამოსხმა. და, რაც მთავარია, შექმნილია პირობები იდეალური მუშაობისა და წარმოების მაღალი კულტურისათვის.

ათვალიერებ ამ უზარმაზარ ნაგებობას, რთულ მოწყობილობას, და არ შეიძლება არ წარმოთქვა:

— ბარაქალა თქვენს მარჯვენას, მშენებლებო და მემონტაჟეებო!

ეს მადლიერების სიტყვები ნამდვილად დაიმსახურებდა მშენებლებმა და მემონტაჟეებმა. სახელმწიფო მმდგომა კომისიამ მათი ნამუშევარი კარგად შეაფასა.

დახურული ღუმელების აგრეგატები და ყველა მოწყობილობა რიტმულად გუგუნებენ. დნება ძვირფასი ფეროშენადნობი.

ზ. ჯაბასპიშვილი.



სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი საამქროს მშენებლობის მოწინავე მემონტაჟეები: ზ. შალაშვილი (მარცხნივ), ი. ფერაძე, ვ. ჩუმაკი, ვ. გუბაევი, გ. კანონი და ს. ზუბკო.

ფოტო ა. მაჭავარიანისა და გ. გერასიმოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ლაშქრობა მეობლიერი მხარის დასამშვენებლად

მკითხველები ეხმაურებიან საგარეჯოელ მშრომელთა ინიციატივას

ბაღნარად ვაქციოთ...

პატივცემულო რედაქცია, გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე წავიკითხე და მომეწონა საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის რაისაბჭოს მესამე სესიის მონაწილეთა მიმართვა ყველა მშრომელისადმი რაიონის სოფლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გალამაზების შესახებ.

რაიონის და სოფლის ზოგიერთი ხელმძღვანელი და მშრომელები ნაკლებად არიან დაინტერესებული თავიანთი რაიონისა და სოფლის კეთილმოწყობით. თუ გზას შეაკეთებენ ან გაამწვანებენ, ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ ცენტრში.

სოფლებში ზოგჯერ უმოსახლო ადგილებია დარჩენილი და დაფარულია ეკალ-ბარდით. ასეთი ადგილები უნდა გაიწმინდოს, შემოიღობოს, გალამაზდეს და შეივსოს მწვანე ნარგავებით. ყოველივე ამის გაკეთება არ არის ძნელი. ამაზე კი სოფლის ხელმძღვანელებმა და მშრომელებმა უნდა იფიქრონ და გააკეთონ.

ჩვენ ერთმანეთს უნდა დავუსვათ კითხვა: რა გააკეთე შენი სოფლისათვის? შენი კუთხისათვის? შენი ქუჩისათვის? მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, გავალამაზეთ, შევლობეთ და დავრგოთ უმოსახლო ადგილას 60-მდე 4-5 მეტრიანი ჭადრის ნარგავები.

ვიღებ ვალდებულებას, თუ ხელი შემიწყო სოფლის ხელმძღვანელობამ 0,5 ჰექტარ ფართობზე გავაშენო შემოსავლიანი ნარგავები უსასყიდლოდ.

რ. ალანია,
გეგეჭკორის რაიონი, ნაესაკავო.

მოწოდების საპასუხოდ

საგარეჯოელთა მოწოდებამ „მოუარე, დაამშვენე შენი სოფელი, კარმიდამო“ თეორი წყაროს საწარმოო სამმართველოს მშრომელებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ყოველდღიურად რაიონული გაზეთის „ლენინური გზის“ რედაქციაში ათეულობით წერილი მოდის, რომლებშიც კოლმეურნეები თუ საბჭოთა მეურნეობების მუშები კონკრეტულ წინადადებებს იძლევიან საკუთარი ძალებით როგორ დაამშვენონ თავიანთი სოფლები, კარმიდამო.

განსაკუთრებით საინტერესოა დაბა თეთრი წყაროს მცხოვრებთა ერთსულოვანი გადწყვეტილება იმის შესახებ, რომ თვითეულმა მოსახლემ, რომლისთვისაც მშობლიური დაბისა თუ სოფლის სილამაზე ოდნავ მაინც ძვირფასია, თავის კარმიდამოს მოხსნას თუნუქისა და მავთულხლართების ღობეები, მოუაროს გზის იმ ნაწილს, რომელიც მისი სახლის წინ გადის, გზის მშენებლებს დაეხმაროს ხეხილის დარგვასა და გახარებაში.

თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა კიდევ უფრო თავგამოდებით იბრძოლონ, რომ თეთრი წყაროს რაიონი სისუფთავითა და კეთილმოწყობით რესპუბლიკაში სანიმუშო გახდეს.

რ. მაჭავარიანი,
დაბა თეთრი წყაროს.

ამაგდარნი, ჭაღაროსანნი

ერთი საინტერესო შეხვედრის ამბავი

მს დღე ერთნაირად საზეიმო და სასიხარულო იყო ვალმოხდილი, ამაგდარი პედაგოგებისათვის, მათი აღზრდილებისა და მოსწავლეებისათვის. ისინი მოუთმენლად ელოდნენ ამ შეხვედრას, რომელიც დიდი გულისყურით და ფაქიზად მომზადეს უმცროსმა კოლეგებმა — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის პედაგოგებმა ამავე სკოლის მოსწავლეებთან ერთად. მათ სურდათ ერთხელ კიდევ შეხვედროდნენ და ენახათ მათზე ფიქრით გათეთრებული მხცოვანი ადამიანები, თაყვანი ეცათ მათი ჭაღარა-სათვის, ხოლო ვალმოხდილებს მთელი დღე გაეტკბრებინათ მშობლიური სკოლის კედლებში, მოესმინათ ონავარი გოგო-ბიჭების ჟრიამული და შეხვედროდნენ მათი ბუდიდან დიდი ხნის წინათ აფრენილ ახალგაზრდებს.

თბილისის 23-ე საშუალო სკოლა აციცლებს ღვაწლმოსილ ადამიანებს და ამ სამახსოვრო დღეს ისევ მოუხმო თავის აღზრდილებს — ამ სკოლის კურსდამთავრებულებს. ზეიმზე მოვიდნენ ისინი, რომლებმაც დიდი ხნის წინათ დატოვეს ამ სკოლის კედლები და შემდეგ ცხოვრების ტალღამ სულ სხვადასხვა მხარეს გასტყორცნა. თითქოს ჭაბუკები და ქალიშვილები ყოფილიყვნენ, ისე მოვიდნენ უკვე ცხოვრებით დაბრძენებული ადამიანები — ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, კონსტრუქტორები, მხატვრები, მუსიკისმცოდნეები, მსახიობები, მეცნიერი მუშაკები... ზოგიერთი უკვე თმაშეჭერცხლილია. ისინი ერთხელ კიდევ მიესალმნენ და მადლობა უთხრეს იმათ, ვისაც რამდენიმე თაობა აღუზრდია, ბევრი კარგი ჩვეა, შრომისა და სიცოცხლის სიყვარული შთაუნერგავს ახალგაზრდებისათვის, და ახლა ვალმოხდილნი სტოვებენ საყვარელ სკოლას. ამ ადამიანებისათვის მოსვლა პედაგოგიურ ასპარეზზე და ამ ასპარეზიდან წასვლაც ლამაზი, სხივმოსილი და სასახელოა.

ყველა მოკრძალებით მიდიოდა ძვირფას აღმზრდელებთან და ისინიც გულში იკრავდნენ მათ, როგორც „პატარებს“.

აი ეს ადამიანებიც — სასახელო იუბილარები — სკოლის საქტო დარბაზში სცენის საპატიო საგრძლებზე სხედან.

— რა დაგვიგიწყებს მათ, ამბობს ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. მჭედლიძე. დავიწყოთ სერგო ახვლედიანით, სერგო „პაპათი“, როგორც მას მოსწავლეებმა სიყვარულით შეარქვეს. რა ძალა დაგვიგიწყებს ბავშვების სულის მესაიდუმლეს, მუდამ მათთან მოფუსფუსეს, იმ მასწავლებელს, რომელმაც სასახელო შრომის ფრონტზე 60 წელი, ხოლო ამ სკოლის ჭერქვეშ თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა, გვასწავლა შრომის, სწავლისა და ადამიანის სიყვარული... რა დაგვიგიწყებს მასწავლებელ თამარ გომელაურს, ჩვენს ამგდარს, დედას, რომელმაც საკუთარი მე დაივიწყა და მთელი სიცოცხლე სკოლასა და ბავშვებს შეალია. თამარმა ნახევარი საუკუნე დაპყო პედაგოგიურ ასპარეზზე, მისი ყოველი გავვეთილი უანგარო შრომა და ბრძოლა ყოფილა. ამ სახელოვან შრომასა და ბრძოლას მისი სიცოცხლე, მისი კარგი ქალობა აგრეგიგად გაუფაქიზებია და დაუმშვენებია.

გვიყვარს ჩვენი იუბილარი ნადეჟდა რუხაძე-ჟორჟოლიანი, რომელმაც ნახევარი საუკუნე ბავშვების აღზრდას შეალია. მან ფეხი აიდგა სავარდო და სამაისო ბუთაისში, მეგობრობდა ვლადიმერ და ოლოა მაიაკოვსკეებთან, არაერთხელ მოგვისმენია მისგან საინტერესო მოგონებანი დიდ პოეტზე. ახლაც გვიბიძავს ამ სხივმოსილი ქალის პედაგოგიური სითმო, მშობლიური მზრუნველობა, სილამაზისა და სიცოცხლის დაუცხრომელი ტრფიალი.

რომელ ჩვენგანს დაავიწყდება მავრა გეგეჭკორის შესანიშნავი გაკვეთილები. ამ გაკვეთილებზე ჩვენ მასთან ერთად გადაგვისერავს ზღვები და ოკეანეები, გვიმოგზაურია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე, ვყოფილვართ დიდ ქალაქებსა და ჯუნგლებში. დაგვიპყრია მწვერვალები, გვეოცნებია კოსმოსში გაფრენაზე. ეი ჩვენი იუბილარი მათემატიკის მასწავლებელი, უბადლო პედაგოგიური ტაქტითა და ნიჭით დაჯილდოებული ლუბა კვინიკაძე. მას ნახევარი საუკუნის მანძილზე რამდენი პედაგოგიური გამარჯვება უზეიმია, მართლაც კარგი მათემატიკოსი თუ დათვლის.

რომელ ჩვენგანს არ ახსოვს ზუმი და მოკრძალებული პედაგოგი მარიამ კოპალეიშვილი, ბავშვები იასთან ერთად რომ ახსენებენ, იმ იასთან ერთად, რომელიც ი. გოგებაშვილის „დედაენაში“ იკრიფება. მათი გამოზრდილი იები მარიამს იმდენ წელს სიცოცხლეს უსურვებენ, რამდენჯერაც მათ პატარა ბაგეს წარმოუთქვამს, ხოლო გაუბედავ ხელებს მოუხვევს „ია“. ჩვენს იუბილარებს გვერდს უმშვენებს ყველაზე „ახალგაზრდა“ წევრი, უანგარო და კეთილშობილი მარიამ მჭედლიძე, რომლის სახელი ჩვენთვის დიდი ოქტომბრის ენასთან არის დაკავშირებული.

გვიყვარს და პატივს ვცემთ შრომაში გაჭაღარავებულ მათემატიკის მასწავლებელ ვალერიან მენაბდეს, უანგარო და უმწიკლო ადამიანს, უაღრესად პუნქტუალურს ყოფაცხოვრებასა და საქმიანობაში. მის დარბაისლობამი მისი აღზრდილები უპირველეს ყოვლისა ადამიანს, პედაგოგს, მეგობარს, მრჩეველს ხედავენ, იგი სულითა და გულით ისევ ჩვენთან არის, თავისი გამოცდილება, ნაფიქრი და ნააზრევი ქაღალდზე გადააქვს, რომ მასზე აღიზარდონ ახალგაზრდა პედაგოგები.

შეჰყურებთ ამ ადამიანების შრომის მაღლით მოსილ სახეებს, ამჩნევთ თვითეული მათგანის თვალებზე მომდგარ ცრემლს და გაჯერად, რომ ეს საყვარელ მოწაფეებთან შეხვედრით გამოწვეული სიხარულის ცრემლია, შემდეგ მათთან განშორების შიშით ნადვენმორეული. ისინი შეჰხარიან მათს აღზრდილებს და გრძნობთ ეამაყებათ, რომ ამაოდ არ დამშვრალან.

ამიტომ იყო, რომ ბავშვებმა მათ ფეხქვეშ ფიანდაზად ვარდ-ყვავილები გაუშალეს, ხოლო გულით მშობელს გაუთანაბრეს, იმდენი წლის სიცოცხლე უსურვეს, რამდენი ხუთიანი და ორიანიც შემოუხაზავთ საკლასო ჟურნალებში. მათზე შეთხზეს იქნებ პირველი, მაგრამ გულწრფელი ლექსები, რომლებშიც გამოთქვეს სინანული, რომ ვერ მოესწრნენ მათს გაკვეთილებს, მადლობა გადიხადეს, რომ აღზარდეს მათი მშობლები, რომლებმაც თავიანთ პირმშოებს აკვნიდანვე ასწავლეს მათი სიყვარული და პატივისცემა.

ზეიმზე ამ საზეიმოდ მორთულ დარბაზში და ფიქრობთ, გავიდა ბევრი დრო, ყოველისშემძლე, ყველაფრის შემცვლელი და დამვიწყებელი, დრო, რომლის წყალობით ამ ქვეყანაზე დაკარგავთ ყველაზე სასუკეთესო — ახალგაზრდობას, დაივიწყებთ ბევრ კარგსა და ავს, მაგრამ გიხარია, რომ დრო უძლურია დაგავიწყოს მშობელი დედა და აღმზრდელი მასწავლებელი, დედის სწორი, მეორე მშობელი. ამ ქვეყნად მხოლოდ დედის და მასწავლებელს ყოფნის მოთმინება მთელი სიცოცხლე ელოლიავოს შვილს, მისთვის მუდამ „პატარას“ და აღსაზრდელს.

აი მხცოვანი ადამიანები, რომელთაც ნათელი ადგათ თავზე, ყვავილების თაიგულების ზღვაში ჩაძირულან, სიხარულის თვალებით შესცქერიან და უსმენენ ბავშვებს, ამ გულთბილებსა და თავაზიანებს, რომლებიც თითქოს დღეს განგებ დადნჯებულან... და ფიქრობენ — ჯერ კიდევ რამდენი შრომა და ჯაფაა საჭირო, რომ სამყაროს მუდმივი ახალგაზრდობა — ბავშვები წესიერად დაიზარდონ, არაფრით არ აფორიაქდეს მათი ცხოვრება.

ამ ნათელმოსილ ადამიანებს სწამთ, რომ პედაგოგიური საქე საიმედო ხელს ჩააბარეს, რომ მათი ახალგაზრდა კოლეგები ბავშვებს ცხოვრების დიდ ზღვაში გეზს სწორად გააგნებინებენ.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: თამარ გომელაურს ეგებებიან მოსწავლეები.

ფოტო ჯ. გოლაშვილისა.

გაზაფხული, და, როგორც ეტყვიან, ყველა გზას შაგი ზღვის სანაპიროებისაკენ მივყავართ. მზითა და სითბოთი სავსე კურორტებისაკენ მოეშურება ამ დღეებში საგზურით ხელში ათასობით მშრომელი.

გღვა, მგე და შავი ლაქები

„კომუნისტის“ რეიდი

როგორ ხვდებიან მათ შვიდწლედის შეეძვსე წლის საკურორტო სეზონში აფხაზეთის ჯანმრთელობის კერები?!

წელს საკურორტო გაზაფხული ადრე დაიწყო. უცებ აიესო სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და ტურისტული ბაზები.

გულდასმით ემზადებიან ზაფხულისათვის გაგრაში. აქ ჯერ კიდევ ადრე შედგენილი გრაფიკის მიხედვით დროულად გაუკეთდა კაპიტალური რემონტი პასსონატებს „ეოეკვარას“, „ცივ წყაროს“, ლესლიძის სახელობის დასასვენებელ სახლსა და სანატორიუმ „რიწას“.

გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე დაიწყო კურორტის პარკების, მისი მიდამოებისა და ჯანმრთელობის კერების ტერიტორიების კეთილმოწყობა. საკმარისია ითქვას, რომ ყველა ამ სამუშაოს შესრულებისათვის კურორტ გაგრაში 300 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯება.

დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აქ წელს კლიმატური მკურნალობის ახალი მეთოდები ინერგება, საგრძნობლად გაიზრდება საწოლების რაოდენობა აიენებზე მკურნალობისათვის.

წელს პირველად კურორტზე სამკურნალოდ გამოყენებული იქნება რადიაქტიური მინერალური წყალი „გაგრა“.

არც კურორტ ახალ ათონშია ამ მხრივ ცუდად საქმე. აქაც ბევრი რამ კარგი კეთდება საკურორტო ზაფხულისათვის სათანადოდ შესახვედრად.

საკურორტო სეზონისათვის მზადებაში ხარვეზები და ჩრდილოვანი მხარეებიც ბევრია.

კურორტ ახალ ათონში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული ელექტროგაყვანილობა, საღამოს საათებში წყალსადენიც წყვეტს მუშაობას.

დანაგვიანებულია კურორტის ზღვისპირა პარკის მიდამოები. ახალი ათონის პარკის თვალწარმტაცე სილამაზეს ყოველგვარ ელფერს უკარგავს ოდესღაც ფანერებისა და ფიცრებისაგან შეკრული „სამწვადეები“, რომლებიც აქ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

სტუმართმოყვარულად ვერ ხვდება ზაფხულს კურორტი გუდაუთა. მისი ცენტრალური ქუჩები გადათხრილია. კარგა ხანია, რაც აქ წყალსადენის გაყვანის სამუშაოები დაიწყეს, მისი დამთავრების ვადები დიდი ხანია ამოიწურა, მაგრამ ამ საქმეს ბოლო არ უჩანს. ასევე მრავალგზის ამოიწურა ახალი დასასვენებელი სახლის „გუდაუთის“ მშენებლობის ვადები, მაგრამ ჯანმრთელობის ეს კერა წელსაც ვერ ძალიან სტუმრებს. მშენებლობის დაჭარებაზე აქ ნაკლებად იწუხებენ თავს № 6 ტრესტის მეორე სამშენებლო სამართველოს მუშაკები და მათი უფროსი რ. როსნაძე. ამ ობიექტზე დღეში მხოლოდ 5-6 კაცი გამოდის სამუშაოდ.

მომზადებული არც კურორტ გაგრის ჭასპინძლები ხვდებიან უსაგზურო დამსვენებლებს. წელს აქ უსაგზურო დამსვენებელთა დიდ ნაკადს მოელიან. მართალია, საკურორტო პოლიკლინიკა უსაგზოროდ ჩამოსულ ავადმყოფებს თვეში 350 კუფონვაკას მიაწვდის, მაგრამ ეს ხომ სანახევროდაც ვერ დააკმაყოფილებს! მოთხოვნილებას! კურორტზე მათთვის სპეციალური სასადილო რომ იყოს გამოყოფილი, ეს რიცხვი შეიძლებოდა ათჯერ გაზრდილიყო.

კარგა ხანია მომზადდა კურორტის ჯანმრთელობის კერების საჭირო მედიკამენტებით შეუფერხებელი მომარაგების საკითხი.

კურორტს ერთადერთი სასტუმროპანსიონატი „გაგრიფში“ აქვს, ისიც მოუზეურიგებელია. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაწყებული რემონტი დღემდე არ არის დამთავრებული. რემონტის ჩამტარებელთა მოუქნელი მუშაობის გარდა ამას სხვა მიზეზებიც უშლის ხელს. ძირითადი კი ის არის, რომ ფინანსურ ორგანოები არ ითვალისწინებენ მშენებელთა მოთხოვნილებებს.

ისევე, როგორც გასულ წლებში, კვლავ გადაუწყვეტელი რჩება კურორტების კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილითა და რძის ნაწარმით განუწყვეტელი მომარაგების საკმე.

საკურორტო ზაფხულს აფხაზეთის კურორტები ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ.

რეიდის მონაწილენი: ნ. პატარაია, გაგრის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი, ვ. მელაძე, სასტუმრო-პანსიონატ „გაგრიფშის“ დირექტორი, ბ. კვირტია, გუდაუთის სანატორიუმ „ვოლგას“ პარტბიუროს მდივანი, ტ. ჯიქია, პროფკავშირების აფხაზეთის საკურორტო საბჭოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გაგრის უბნის უფროსი, ი. გოგეჩია, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეგობრობა და ძმობა

(დასასრული)

რავლებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. გაიზარდა, შორს გადაიჭიმა აზერბაიჯანის დედაქალაქი. აქ ბევრი მშვენიერი ძეგლია, რომლებიც ქალაქის სახელოვან ისტორიას ასახავენ. გუშინწინ კი კიდევ ერთი ძეგლი შეიმატა — საფუძველი ჩაეყარა რუსეთის შემადგენლობაში აზერბაიჯანის შესვლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ობელისკს. ეს ობელისკი აზერბაიჯანელი, რუსი და სსრ კავშირის სხვა ხალხების მეგობრობისა და ძმობის სიმბოლო იქნება, ხალხებისა, რომლებმაც გაიმარჯვეს ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, ააშენეს სოციალიზმი და ახლა ხელიხელჩაკიდებული მტკიცედ მიდიან სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ!

შემდეგ ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა, რომ სახელოვანმა რევოლუციურმა ტრადიციებმა ხორცი შეისხეს და განვითარდნენ დედაქალაქისა და მთელი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების კოლეგჭიერების გმირული შრომის შედეგად.

ვ. ი. ლენინი, კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრდიდნენ და ზრდიან ჩვენი ქვეყნის ხალხებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა ადამიანები გულწრფელად და გულუბვად უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სხვა ქვეყნების ხალხებს, უანგაროდ ეხმარებიან იმათ, ვინც თავი დააღწია კოლონიური ჩაგვრის ბორკილებს, დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

საბჭოთა აზერბაიჯანი, განაგრძო ორატორმა, სოციალიზმის ფორპოსტია აღმოსავლეთის საზღვარზე, იგი თვალსაჩინო შთამაგონებელი მაგალითია ხალხებისათვის, რომლებიც ნათელი მომავლისათვის იბრძვიან. ეს დიდი პატივია, ამხანაგებო, მაგრამ ასეთი მდგომარეობა ბევრ რამესაც გავალებთ. ამიტომ ჩვენ ყველანი კიდევ უფრო შეურიგებელი უნდა ვიყოთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებისადმი, ყველაფრისადმი, რაც რამდენადმე აძნ

საერთაშორისო
დეკემბერი, ცნობიერი, ვიმოწმენენ
ცხოვრება

- ვაშინგტონის ხელი ლაოსის ამბებში
- ვიცე-პრეზიდენტი დელში ინვევს პრეზიდენტს
- სტივენსონის უზიფარი ულტიმატუმი

გამოფენა სოფოკოლმში

ეძღვნება ვ. ი. ლენინს

სტოკჰოლმი, 29 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ი. მოკრეცოვი იუწყება:

არჩევდა რა საარქივო მასალებს, სტოკჰოლმის ბიბლიოთეკის დირექტორმა დ-რმა უნო ვილერსმა აღმოაჩინა ახალი საინტერესო ცნობები, რომლებიც ეხება ვ. ი. ლენინის მუშაობას სტოკჰოლმის ბიბლიოთეკაში 1910 წლის სექტემბერში.

როცა საკდესის კორესპონდენტს ესაუბრებოდა, დოკტორმა უნო ვილერსმა უჩვენა მას ბიბლიოთეკის მკითხველთა ჩანაწერების წიგნი, რომელშიც 1910 წლის 18 სექტემბრის სარეგისტრაციო ფურცელზე ვლადიმერ ილიას ძის ხელით დაწერილია: „ვ. ულიანოვი".

1910 წლის 20 სექტემბერს ვლადიმერ ილიას ძემ მთელი დღე დაჰყო ბიბლიოთეკაში. ამას მოწმობს ორი ჩანაწერი — ერთი გაკეთებულია დღის პირველ ნახევარში, მეორე კი — საღამოს. საღამოს ჩანაწერში აღნიშნულია: „ულიანოვი, კაპტენსგატანი, 17". ესე იგი აღნიშნულია სტოკჰოლმის ქუჩა და სახლი, სადაც მაშინ ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა. ხუთი ასეთი ჩანაწერი ნახა დ-მა ვილერსმა რეგისტრაციის წიგნში.

8 ივნისს სტოკჰოლმის ბიბლიოთეკაში გაიხსნება გამოფენა მასალების ძე დოკუმენტებისა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ყოფნის შესახებ სტოკჰოლმში. რეგისტრაციის წიგნები ვლადიმერ ილიას ძის ხელმოწერით აგრეთვე იქნება ექსპონირებული, თქვა დ-რმა ვილერსმა.

ამას წინათ მე ვიყავი ჩრდილოეთის ქალაქ კირუნაში. ეს ქალაქი პოლარული წრის იქით, ტუნდრაში მდებარეობს. მესიამოვნა, როცა შევიტყვე, რომ ქალაქის ადგილმრივ ბიბლიოთეკაში სათუთად ინახება ახლა უკვე ოშვიათი წიგნის — ვ. ი. ლენინის შესახებ შვედურ ენაზე დაბეჭდილ მოგონებათა ერთერთი პირველი კრებულის ეგზემპლარი. კრებული იხსნება ვ. ი. ლენინის პორტრეტით და მისი პირადი წარწერით გერმანულ ენაზე: „ძვირფას მეგობრებს შვეციის მემარცხენე პარტიიდან. მოსკოვი, 1919 წლის 6 მარტი. ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი)".

ვ. ი. ლენინმა ფოტოსურათი აჩუქა შვედ ამხანაგებს მოსკოვში ყოფნის დროს.

საბჭოთა კავშირის სამძიმარი ინდოეთისადმი ჯ. ნერუს გარდაცვალების გამო

დელი, 29 მაისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ნ. კოსიგინი ეწვია ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სარვაპალი რადაკრიშნანს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილს ინდირა განდის, ვიცე-პრეზიდენტს ზაქირ ჰუსეინსა და პრემიერ-მინისტრს გულზარილალ ნანდას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ა. ნ. კოსიგინმა სამძიმარი გამოთქვა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს გარდაცვალების გამო.

პრეზიდენტ ს. რადაკრიშნანთან, ინდირა განდისთან, ზაქირ ჰუსეინთან და გულზარილალ ნანდასთან ა. ნ. კოსიგინის შეხვედრის დროს გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბრები. საუბრებს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი და სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკდესი). მსოფლიო პრესაში გაჩნდა დამატებითი დაწვრილებითი ცნობები ამასწინანდელი ტრაგიკული ამბების შესახებ ლიმის სტადიონზე, როცა ჭყლეტაში დაიხოცა და დაშავდა რამდენიმე ასეული კაცი. კერძოდ გამოირკვა, რომ პოლიციელები სტადიონზე არა მარტო ესროდნენ მაყურებლებს ცრემლსადენი გაზის გრანატებს, არამედ სასროლი იარაღის ცეცხლიც დაუშინეს მათ. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, სტადიონზე დაღუპულთა გვამების შემოწმებამ ცხადყო, რომ სულ ცოტა ათი კაცი მოკლულია ტყვიით.

რათა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა სისხლიანი ტრაგედიისათვის, ლიმის პოლიციის უფროსმა გამოაქვეყნა სენსაციური განცხადება, რომელშიც ამტკიცებს, რომ ტრაგედია გამოიწვიეს... კომუნისტებმა. მან უყოყმანოდ განაცხადა, კომუნისტებმა მიიღეს სპეციალური დავალება „შეექმნათ სტადიონზე ისეთი მაშტაბის არეულობა, რომ აეძულებინათ პოლიცია გამოეყენებინა იარაღი". „წესრიგის დამცველთა" ცრუბენტელა შეფი იქამდე მივიდა, რომ კომუნისტებს ბრალად დასდო, რომ მათ და არა პოლიციელებმა, დაუშინეს ცეცხლი მაყურებლებსო.

თავის შეფის გამოსვლისთანავე ლიმის პოლიციამ გამოაცხადა, რომ კომუნისტები „დაპატიმრებულიაო".

მდგომარეობა ლაოსში

ლონდონი, 30 მაისი. (საკდესი). ლაოსის პარტია, ნეო ლაო ხაკ სატის ლიდერმა პრინცმა სუფანუვონგმა პრემიერ-მინისტრ სუვანა ფუმას გაუგზავნა წერილი, რომელშიც წინადადებით მიმართავს მოეწყოს ლაოსის სამი პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერთა თათბირი.

გუშინ ლაოსის პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ სუფანუვონგს გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ ეთანხმება ამ წინადადებას იმ პირობით, რომ თათბირი მოეწყობა ან ლუანგ-პრობანგში, ან ვიენტიანში, იუწყება რეიტერის სააგენტო.

ბაცვლითი გასროლები

ბელგრადში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმებას 1964-65 წლებში ანსამბლებისა და სოლისტების გაცვლის შესახებ. შეთახმებით გათვალისწინებულია, რომ იუგოსლავიაში გასტროლებს გამართავენ დიდი თეატრის სავიოლინო კამერული ანსამბლი, პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი, კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები და ბალეტის ფეხოვნების სხვა წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირში საგასტროლოდ ჩამოვლენ ზაგრების რადიოსა და ტელევიზიის კამერული ორკესტრი, ზაგრების კვარტეტი და იუგოსლავიის სხვა ანსამბლები, აგრეთვე სოლისტები. (საკდესი).

ლიმელი ოინგაზეები

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკდესი). მსოფლიო პრესაში

პენსია... ფონ პაპენს

ბონი, 29 მაისი. (საკდესი). მანჰეიმის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ვაიმარის რესპუბლიკის ყოფილი რაიხსკანცლერისათვის, ხოლო შემდეგ ჰიტლერის მთავრობაში ვიცე-კანცლერ ფონ პაპენისათვის ყოველთვიური პენსიის გადახდის შესახებ 680 მარკის როოდენობით. სასამართლომ მისი უფლება ცნო როგორც გერმანიის არმიის ყოფილი მაიორისა (ამ არმიაში იგი მსახურობდა 1898-1919 წლებში) რომ ეს პენსია მიიღოს 1957 წლიდან. ამ გადაწყვეტილებით ფონ პაპენს უნდა გადაუხადონ სოლიდური თანხა — 55 ათასი მარკა.

ფონ პაპენი პენსიის მიღებისათვის 10 წელზე მეტია იბრძვის. 1962 წელს ფრაიბურგის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარყო ყოფილი რაიხსკანცლერის პრეტენზიები იმის გამო, რომ იგი მოღვაწეობდა ნაცისტური რეჟიმის დროს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფონ პაპენი შეუპოვრად განაგრძობდა სასამართლოდავას.

კონტრრევოლუციონერთა გავლენიანი მფარველები

ვაშინგტონი, 30 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო გვატყობინებს:

კუბელი კონტრრევოლუციონერები, რომლებმაც თბილი ბუდეები გაიკეთეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვლავ გამხნევებენ მხარდაჭერით ამჟერად ამერიკელმა სენატორებმა. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის იურიდიული კომისიის ემიგრანტებისა და ლტოლვილების საქმეთა ქვეკომიტეტმა, რომელსაც სენატორი ფილიპ ხარტი მეთაურობს, გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც თანაუგრძნობს და ქება-დიდებას ასხამს კონტრრევოლუციონერთა ძირგამომთხრელ საქმიანობას კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გულისამაჩუყებელი მზრუნველობა გამოიჩინეს სენატორებმა კონტრრევოლუციური ორგანიზაციების ერთობისათვის. ქვეკომიტეტი, ნათქვამია მოხსენებაში, ხელს უწყობს იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია „ფართო ფორმულის" შემუშავება კუბის ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანებისათვის ისე, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ „ავტორიტეტულად" მიმართონ მთავრობებს, საერთაშორისო ორგანოებსა და საზოგადოებრივ აზრს „კუბის თავისუფლებისათვის".

ქვეკომიტეტმა აღნიშნა, რომ კუბაში მოქმედ დივერსანტთა ბანდებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ კონტრრევოლუციურ ემიგრანტულ ორგანიზაციებს „ურთიერთკავშირი აქვთ პასუხსაგებ დონეზე". სენატორებმა ვერაფერი მოიფიქრეს იმის გარდა, რომ მოითხოვეს განამტკიცონ „ეს ურთიერთკავშირი საბოლოო აჯანყების" დასაჩქარებლად....

• საერთაშორისო თემაზე •

ძალის პოზიციის გაკოტრებული პოლიტიკა

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ცა მოღრუბლულია

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში ვითარება დღითიდღე მწვავდება. ომის ალი კვლავ გიზგიზებს სამხრეთ ვიეტნამში. ლაოსში გენერლების კუპრასტისა და სიხოს მიერ მოწყობილი რეაქციული გადატრიალების შემდეგ ეს ქვეყანა კვლავ გახდა სამოკალაჭო ომის ასპარეზი. ფოთითინი მდგომარეობაა კამბოჯის საზღვრებზე.

ყველა ამ მოვლენის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ისინი ერთი ჯაჭვის რგოლებია. მეორე მხრივ სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამ ჯაჭვს ამეოიკის შეერთებული შტატები ჭედენ. მართლაც: სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მხარს უჭერენ სამხრეთ ვიეტნამის დიქტატორულ რეჟიმებს, სამდელი მიზეზია „ბინძური ომისა", მრავალი წლის მანძილზე რომ ფლეთს ამ მრავალტანჯულ ქვეყანას.

ამ დღეებში საიგონიდან ჩასულ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მაკნამარას რეკომენდაციით შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კონგრესს მოსთხოვა ახალი ასიგნობანი 125 მილიონი დოლარის როოდენობით ამ ომის განსაგრძობად, ამერიკული სამხედრო საჭურველი ფართო ნაკადად იგზავნება სამხრეთ ვიეტნამში, სადაც უამისოდაც დიდძალი ამერიკული სამხედრო ტექნიკა და პერსონალია. ამერიკის შეერთებულ შტატებში გაისმის ხმები, რომლებიც მოითხოვენ საომარი მოქმედების გაგრძელებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ხოლო „ცოფიანთა" ლიდერმა გოლდუოტერმა ამას წინათ მოუწოდა გაოიოყენონ სამხრეთ ვიეტნამში... ატომური ბომბი!

გაშინგტონის ხელი იგრძნობა ლაოსის ამბებშიც. ამერიკის მხარე უხეშად არღვევს საერთაშორისო შეთანხმებებს ლაოსის შესახებ, თუმცა ამ შეთანხმებებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმოწერა აქვთ. ვაშინგტონი ამკარად ახორციელებს ლაოსის რეაქციის ძალების ჭხარდაჭერის კურსს და ცდილობს ნეიტრალისტურ გზას აიცდინოს ლაოსი. სწორედ ამით აიხსნება სამშინაო კონფლიქტის გაფართოება ლაოსში. ამ დღეებში აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩავიდა ამერიკის ავიოსანი „კიტიჰოუკი", რომელზეც რეაქციული თვითმფრინავებია. ამ თვითმფრინავებს იყენებენ ეგრეთწოდებული სადაზვერვო ფრენისათვის ლაოსის ტერიტორიაზე. იქვე გაიგზავნა „ტ-28" ტიპის ბომბდამშენები. ბოლოს, ვაშინგტონში განიხილავენ საკითხს, რომ ტაილანდში ლაოსის საზღვარზე გაიგზავნოს ამერიკის სამხედრო ნაწილები.

ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ამ სამხედრო აქციის მიზანია გაანადგურონ ლაოსის პატრიოტული ძალები, რომლებსაც სათავეში უდგას ნეო ლაო ხაკ სატის ორგანიზაცია და პრინცი სუფანუვონგი, არსებითად მოახდინონ ნეიტრალისტური დაჯგუფების ლიკვიდაცია, შთაანთქმეკინონ იგი შემარკვეველებს. შეერთებული შტატები იყენებენ კოლონიზატორთა კლასიკურ დევიზს „გათიშე და იბატონე" და პროვოკაციულად ცდილობენ გასაბრალონ ლაოსში სამოქალაქო ომი, რომლის იქითაც უკვე ჩანს ქვეყნის გათიშვის აჩრდილი, როგორც ეს კორეასა და ვიეტნამში მოხდა.

ეს გარემოება ოდნავაც ვერა ცვლის ვაშინგტონის სიტყვიერ მტკიცებას, რომ იგი თავის სადაზვერვო თვითმფრინავებს გზავნის ლაოსის საჰაერო სივრცეში თითქოს ნეიტრალისტური კოალიციური მთავრობის ინტერესებისათვის, რათა თვალყური ადევნოს მემარცხენე დაჯგუფების რაზმების მოძრაობას. სინამდვილეში ვაშინგტონის მოქმედება მხოლოდ სამხედრო ხუნტას უწყობს ხელს.

ამდენადვე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა კამბოჯის საზღვრებზე. როგორც ცნობილია, კამბოჯის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მიმართა უშიშროების საბჭოს და მოითხოვა რაც შეიძლება მალე განხილულ იქნას საჩივარი იმაზე, რომ არ წყდება ამერიკის შეერთებული შტატების და სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედება კამბოჯის ტერიტორიისა და სამოკალაჭო მოსახლეობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, კამბოჯის მთავრობამ მოითხოვა ჟენევის თათბირის მოწვევა თავისი ნეიტრალიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად. ამერიკის კონტრბრალდებანი იმის გამო, რომ კამბოჯა თითქოს ხელს უწყობს აჯანყებულთა სამხრეთ ვიეტნამში, მხოლოდ გამართლებაა, ამასთან ტლანქი გამართლება, აგრესიული აქტებისა კამბოჯის ტერიტორიის წინააღმდეგ.

დიახ, ყველა ეს მოვლენა სულაც არ არის შემთხვევითი. ტყუილად კი არ იყო, რომ ჯერ კიდევ სეატოს აგრესიული ბლოკის შექმნის გარიჟრაჟზე ვაშინგტონმა მტკიცედ მოითხოვა, ცნობილ სავრთაშორისო შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ, ლაოსი და ვიეტნამი მოექციათ სეატოს გავლენის სფეროში. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ სწორედ ახლა მსოფლიოს ამ რაიონში დაიწყო სეატოს მოხაწილე ქვეყნების სამხედრო მანევრები, რომლებსაც დემონსტრაციის ხასიათი აქვს და აშკარად შეფარდებულია ლაოსის ამბებთან.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება საფრთხეს უქმნის მშვიდობას დედამიწის ამ რაიონში. აი რატომ იწვევს ეს მოქმედება მსოფლიო საზოგადოებრიობის შეშფოთებას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მკაცრად გმობს, კერძოდ, სამხედრო გადატრიალების ცდას ლაოსში იმ მიზნით, რომ დაემხოთ ამ ქვეყნის კოალიციური მთავრობა, ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა ჩაშლის ცდას.

როგორც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა პრინც სუვანა ფუმასათვის გაგზავნილ თავის წერილში, საბჭოთა კავშირი შუდამ მოითხოვდა და მოითხოვს ქვეყნის შეთანხმებათა მტკიცედ განხორციელებას, ლაოსში ერთიანობისა და ეროვნული თანხმობის მიღწევას ყველა იმ პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმების გზით, რომლებიც წარმოდგენილი არიან კოალიციურ მთავრობაში. ყოველმა სხვა გზამ, რომლის დროსაც ლაოსის საკითხზე თათბირის მოწვევის იდეას და წინადადებას აძლევს ინგლისელ თანათავმჯდომარეს ერთობლივად მიმართონ ჟენევის შეთანხმებათა მონაწილე ყველა სახელმწიფოს იმ წინადადებით, რომ მოწვეულ იქნას საერთაშორისო თათბირი ლაოსის საკითხზე.

საბჭოთა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში მთლიანად დაუჭირა მხარი კამბოჯის მთავრობის საჩივარს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების გამო.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის ხანძარს რომ აღვივებენ, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, როგორც ჩანს, ცდილობენ კვლავ განხორციელონ ამ რაიონში „ძალის პოზიციის" უკვე გაკოტრებული პოლიტიკა. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ავანტიურისტულმა პოლიტიკამ წარმატება მოუტანოს მის მამტარებლებს. ერთადერთი რამ, რასაც მათ შეიძლება მიაღწიონ, ეს არის ომის ახალი სიშმაილი კერის შექმნა.

გახსენება

გ-ნ სტივენსონს

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონმა, რომელიც ლონდონში პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ იგი თითქოს „დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა კავშირი გადაიხდის თავის ვალებს ორგანიზაციის მიერ მშვიდობის დაცვის ოპერაციების გატარებისათვის". გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" მოთავსებული ინფორმაციის თანახმად, სტივენსონმა დასძინა, რომ თუ საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ამაზე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ზომები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ხმის უფლების ჩამორთმევისა. ეს ზომა, ანუ ეგრეთწოდებული „ბ-ნი ტიბეტი", ეს ... ეს ... ...

ᲤᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 65 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲓᲦᲔᲡ დაბადების 65 წლისთავი უსრულდება გამოჩენილ რუს საბჭოთა მწერალს, ლენინური პრემიის ლაურეატს, ქართველი ხალხის გულითად მეგობარს ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲡ.

შარშან შემოდგომაზე ლეონიდ ლეონოვმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას პირველი პუბლიკაციისათვის გამოუგზავნა თავისი ვრცელი მოთხრობა „ევგენია ივანოვნა“, რომელსაც ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ. ამ მოთხრობას ახლა ცალკე წიგნად ბეჭდავს გამომცემლობა „ნაკადული“. „ევგენია ივანოვნას“ ქართული გამოცემისათვის მწერალმა დაწერა მოკლე შესავალი წერილი, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.

ᲘᲡᲔ მოხდა, რომ ბევრი რუსი მწერლის შემოქმედების ზოგიერთი ფურცელი მჭიდროდ დაუკავშირდა კავკასიას... ვერც მე ავცდი ამ სასიამოვნო ხვედრს, რასაც, უწინარეს ყოვლისა, ვუმადლი ჩემს ქართველ მეგობრებს და, პირველ რიგში, განსვენებულ ტიციან ტაბიძეს, ბრწყინვალე პოეტსა და საყვარელ ადამიანს, რომელმაც მაჩვენა საქართველოს მანამდე უცნობი ფურცელი — ალავერდის დიდებული ღამე მთელი თავისი მშვენიერებით.

კახეთს ტიციანთან ერთად 1934 წლის შემოდგომით ვეწვიე და თემაც სწორედ მაშინ ჩაისახა. მერე მთელი ოთხი წლის მანძილზე ქვეცნობიერად ვამუშავებდი მოთხრობის საუბეტს. დიახ, „ევგენია ივანოვნა“ 1938 წელს დაიბადა, მაშინდელი საყოველთაოდ ცნობილი ამბების დროს და ზუსტად იხვევ, როგორც ორი ჩემი შემდგომი ნაწარმოები — „ქარბუქი“ და „შემოსევა“, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმდროინდელ ფიქრებთან. ლიტერატურათმცოდნის თვალი ადვილად შეამჩნევს ამ სამი ნაწარმოების გამაერთიანებელ ნიშანს. უპირველეს ყოვლისა ეს სამშობლოს გრძნობაა, რომელიც ყოველთვის და ყოველგვარი ვითარების უკმს დარჩება ჩვენი გამაერთიანებელი დიადი წყაროს ცნებად, ძალ-ღონეს, მომავლის რწმენასა და შემოქმედებით შთაგონებას რომ გვაძლევს. სწორედ ის გვაერთიანებს და გვანათესავებს ყველას იმ ცხოველმყოფელი „ეპოქის პაროლით“, რომელიც მოთხრობაში მაქვს მოხსენიებული.

მადლობას ვუძღვნი შრომისა და ყურადღებისათვის ყველა იმ ამხანაგს, რომლებმაც ხელი შეუწყეს „ევგენია ივანოვნას“ ქართულ ენაზე გამოქვეყნებას და მოხერული ვიქნები, თუ ამ მოთხრობის ფურცლებზე მიმოფანტული სახეები და აზრები მახლობელი გახდება ახალგაზრდა ქართველი მკითხველისათვის, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს გამოცემა.



ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘ.

ქ. მოსკოვი, 1964 წელი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პირველი ივნისი დედამიწის ბავშვთა ბედნიერების დღესასწაულია.

დაე მრავალჟამიერ ისმოდეს მათი წკრიალა ხმები, სიმღერები. მუდამ ბრწყინავდეს ნორჩების მალხაზ თვალებში ბედნიერი ღიმილი.

ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში მილიონობით კეთილი ნების ადამიანები იბრძვიან, რათა მშვიდობა დამკვიდრდეს ჩვენს პლანეტაზე, სიხარული და ღიმილი იყოს ულევი, იმრავლოს აკვნებმა, სიმღერებმა და სიცოცხლემ.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐ სკოლებში ონავარი გოგობიშვილების ჟრიამული, დამთავრდა მეცადინეობა. დადგა პერიოდი შეჯამდეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მთელი წლის მუშაობის შედეგები.

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსს **დ. ჯავახიას** და თხოვა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე.

— სკოლები დაიწყო გამოსაშვები გამოცდები, — განაცხადა ამბ. დ. ჯავახიამ, რესპუბლიკის 1.151 დღის და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ყველა მეთერმეტეკლასელი მიუსხდა მერხებს. ასოლელენ პირველ წერითს გამოცდას მშობლიურ ლიტერატურაში. ასეთი გამოცდები მეთერთმეტე კლასელებისათვის ახალი როდია, განსხვავებული მხოლოდ ის არის, რომ ყველა სკოლას აუცილებლად სხვადასხვა საწერი თემა გაეგზავნა და იგი მხოლოდ წერის დღეს იქნა ცნობილი პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, ჩვენი აზრით, ეს გააძლიერებს მათს პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ადგილებზე დროულად დაგზავნა გამოცდების ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციის თანახმად I-II-III კლასების მოსწავლეები შემდეგ კლასებში გადაყვანილ იქნებიან უგამოცდოდ, წლიური ნიშნების საფუძველზე, ხოლო IV-XI კლასებს აქვს გამოცდები, მათ შორის VIII და XI კლასებს — გამოსაშვები.

გადასაყვანი გამოცდები IV-V-VI-VII-IX-X კლასებში პირველად მოეწყო გასულ სასწავლო წელს, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა. ამ კლასებში გადასაყვანი გამოცდები ეწყობა ორ-სამ საგანში, გამოსაცდელი საგნები კი ყოველწლიურად იცვლება და სკოლისათვის აპრილის ბოლოს ან მაისში ხდება ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ მათემატიკაში წერითი გამოცდების შემოღებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მეტად საჭირო საგნიდ მოსწავლეთა დაინტერესებისა და მათი ცოდნის დონის ამაღლების საქმეში. ახლა ისინი უფრო მოშზადებული მოდიან გამოცდებზე.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲣᲒᲑᲔᲙᲔᲗᲨᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 30 მაისი. (საკდესი).-კორ.). უზბეკეთის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო ამერიკავკასიის რესპუბლიკათა კინოფილმების ფესტივალი. მხატვრულ და დოკუმენტურ სურათებს, რომლებიც შექმნეს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთის კინემატოგრაფის ტუდიებმა, ერთ კვირას უჩვენებენ უზბეკეთში. მაყურებლები ნახავენ ამიერკავკასიის კინოს ოსტატთა უკანასკნელ ნამუშევრებს — „ბალიასტომს“, „თქრ ქარავანს“, „ვინ შეკაზმავს ცხენს“, „მეზუთე კონტინენტის ჯზას“, „სასწაულების კენძულს“, „სად არის აქმედი?“, „მღერის გოარ გასპარიანი“ და სხვა სურათებს.

მოძმე რესპუბლიკათა კინოხელოვნების დღესასწაულზე უზბეკეთში ჩამოვიდნენ ფილმების შემქმნელები, მსახიობები. ამ დღეებში სტუმრები შეხვდებიან ტაშკენტის, ჩირჩიკის, სამარყანდის მაყურებლებს, ეწვევიან ფაბრიკებს, ქარხნებს, კოლმეურნეობებს, უმაღლეს სასწავლებლებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ: საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების დელეგაციის წევრები საქართველოში ყოფნისას სტუმრად უწვევნენ ცნობილ ქართველ მებალედეკორატორ მიხეილ მამულაშვილს.

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲒᲐᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა ამ დღეებში მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია სოფელ ჭყვიშში, იქ, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ.

გალაკტიონისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გახსნა სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა ვ. კაკაბაძემ. მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორი დ. ბენაშვილი (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ძირითადი მოტივები), ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ს. ჭიჭინაძე (გალაკტიონი და ჭყვიში), გ. ებრარიძე (გალაკტიონი და გიორგი ქუჩიშვილი), მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დ. შუღლიაშვილი (გალაკტიონის ხელნაწერი ჟურნალი „შექი“), დოც. შ. გოზალიშვილი (გ. ტაბიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება), მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. ბენაშვილი (ზოგი რამ გალაკტიონის არქივიდან).

მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორი პ. ბერაძე, თეატრმცოდნე ს. გერსამია, პროფესორი თ. ბეგიაშვილი, მწერალი მ. ასათიანი და ტიციან ტაბიძის ძმა სიმონ ტაბიძე, მწერალი დ. კვიცარიძე.

პოეტის მშობლიური სოფლის მოსახლეობა სესიას დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

დ. ᲒᲔᲚᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲐᲜ ᲛᲘᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში მოგზაურობს საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საფრანგეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მედიცინის საგანგებო სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი რემონდ დე ბენედეტი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე დოქტორი ანრი დეტრუში, საზოგადოების სოციალური კომისიის თავმჯდომარე ელისაბედ მარტინი.

ამ დღეებში ფრანგი სტუმრები თბილისს ეწვევნენ.

მათ დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობას, ეწვივნენ მცხეთას, იმოგზაურეს კახეთში. წინანდალში შეხვდნენ აქაურ მევენახე-მეღვინეებს, აქვე ინახულეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, იყვნენ შამპანური ღვინოების ქარხანაში.

ფრანგი სტუმრები მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჭურც�აშვილმა.

თბილისიდან საფრანგეთის წითელი ჯვრის საზოგადოების დელეგაცია ლენინგრადს გაემგზავრა.

გამგზავრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა რემონდ დე ბენედეტიმ განაცხადა:

ყოველივემ, რაც აქ ვნახეთ, აღგვაფრთოვანა, ჩვენ, ფრანგები, ცოტა თუ ბევრად ვიცნობთ საქართველოს ისტორიას, იგი გმირული ბრძოლებისა და ნაოლი მომავლის მშენებლობის ისტორიაა. დღევანდელი თბილისი თითქოს ამ გმირული ბრძოლების ვაჟაცური მონუმენტია. თბილისი დიდი ხნის ქალაქია, მაგრამ იგი კვლავ ჭაბუკურად გამოიყურება. მას ეტყობა თანამედროვე ეპოქის ადამიანთა მზრუნველი ხელი, ქართველი კაცის დიდი გემოვნება. რაც ყველაზე უფრო გვესიამოვნა, ეს გახლავთ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის საზოგადოებათა მიზნებისა და მისწრაფებების ერთობა. ჩვენი მიზანი კი ადამიანიხადმი სამსახური, მისი ცხოვრების საჭირბოროტო ინტერესებზე ზრუნვაა. ჩვენი მჭიდრო მეგობრობა ამ დიდ საკაცობრიო საქმეში წარმატების უდავო საწინდარია.

მივდივართ და თან მიგვაქვს ათასი შთაბეჭდილება.

დასასრულ მინდა პირადად ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით დიდი მადლობა ვუძღვნა ყველას, ვინც ასე გულთბილად შეგვხვდა თქვენს მიწაზე. დაე ვითარდებოდეს კულტურული და საქმიანი ურთიერთობა ფრანგ და საბჭოთა ხალხებს შორის, დაე ხარობდეს ჩვენი მეგობრობა, ყველა ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის სამაგალითოდ.

ᲒᲐᲛᲒᲖᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲧᲕᲘᲨᲘ

ᲛᲝᲛᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ძირითადი მოტივები), ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ს. ჭიჭინაძე (გალაკტიონი და ჭყვიში), გ. ებრარიძე (გალაკტიონი და გიორგი ქუჩიშვილი), მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დ. შუღლიაშვილი (გალაკტიონის ხელნაწერი ჟურნალი „შექი“), დოც. შ. გოზალიშვილი (გ. ტაბიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება), მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. ბენაშვილი (ზოგი რამ გალაკტიონის არქივიდან).

მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორი პ. ბერაძე, თეატრმცოდნე ს. გერსამია, პროფესორი თ. ბეგიაშვილი, მწერალი მ. ასათიანი და ტიციან ტაბიძის ძმა სიმონ ტაბიძე, მწერალი დ. კვიცარიძე.

პოეტის მშობლიური სოფლის მოსახლეობა სესიას დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

დ. ᲒᲔᲚᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲖᲗᲘᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲜᲔᲑᲐ მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა მოვახსენო ყველა მეგობარს, დაწესებულება-ორგანიზაციას, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 50, საშეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 30 წლისთავი და მთავრობის ჯილდო.

აკად. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
31 ᲛᲐᲘᲡᲘ

Ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა (დღისით), სიმონ კოტკო (საღამოს, მე-10 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამაზი** — ზაფხულის ღამის სიზმარი (დღისით, მე-6 აბონ. მე-6 წარმოდგენა), ეზოში ავი ძაღლია (საღამოს, მე-8 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დრამაზი** — ჭინჭრაქა (საღამოს, უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჯარისკაცის ქვრივი (დღისით, 21-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა), საღამოს მე-8 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მე და ჩემი მეზობლები, **სანკულტურის** — სახელგატეხილნი; **თოჯინების ქართული** — ყველაფერი თავდაყირა (12 ს. და 3 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ᲞᲘᲜᲝ
31 ᲛᲐᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოქტომბერი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), საქართველო (მწვანე დარბაზი), ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გაზაფხული, კოსმოსი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **პარიზის საიდუმლოებანი**, სპარტაკი — **როკო და მისი ძმები** (I-II სერია), თბილისი — **ტრაგიკული ნადირობა**, კომკავშირელი, ქავქავაძის სახელობის კულტურის სახლი, ქიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, ნაკადული — **რომეო, ჩემი მეზობელო**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი) — **ქალი სამხრეთის ნაპირიდან, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — **სად არის ახმედი?**, თანამგზავრი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა**, ოფიცერთა სახლი — **ემმაკი და ათი მცნება**, კოლმეურნე — **სიყვარული სიმღერაში** (I-II სერია,) ყაზბეგი (მეორე დარბაზი) **ელექტრა**, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა სახლი, კოლხიდა (საზაფხულო) — **მამაკაცები გუშინ, დღეს და...**, ისანი (საზაფხულო) — **არამზადების ბანდა**, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **მამლუქი**, ვაკის პარკი — **განგსტერები და ფილანთროპები**, მზიური — **სამშობლოს დაშორებით.**

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ
1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკონი“, 18.25 — „პიონერული ახალი ამბები“, 18.45 — კინონარკვევი „მთელი ხალხის საქმე“, 19.35 — „რუსული ვალსის საღამო“, 20.25 — მხატვრული ფილმი „ერთი წლის ცხრა დღე“, 22.15 — ახალი ამბები.

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

12.00 — მხატვრული ფილმი „ოპტიმისტური ტრაგედია“ (ქართული ვარიანტი), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკონი“, 18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 19.05 — კინონარკვევი — სამი პასუხი მთებს“, 19.25 — „სპორტი ყველასათვის“, 19.40 — კინონარკვევი „ორიდან თვრამეტამდე“, 20.00 — გადაცემა — „გრიგოლ განზბურგი“, 20.25 — მხატვრული ფილმი „ოპტიმისტური ტრაგედია“ (ქართული ვარიანტი), 22.15 — ახალი ამბები.

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

...ᲓᲐ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ მხოლოდ ხუთი თანამშრომელი ჰყავდა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კადრების განყოფილების გამგე, ბუხჰალტერი და დამლაგებელი, რომელიც მეკუჭნავის და ცეცხლფარეშის თანამდებობებსაც ითავსებდა.

დამლაგებელი ალაგებდა, კადრების განყოფილების გამგე ყველაფერს კადრულობდა, ბუხჰალტერი ანგარიშობდა და დირექტორ-მოადგილეს უყოფდა, ოღონდ თანაბრად კი არა, მელიასებური მოხერხებულობით.

დირექტორის მოადგილე დირექტორობაზე ოცნებობდა, კადრების განყოფილების გამგე — დირექტორის მოადგილეობაზე, არასპეციალობით მომუშავე ბუხჰალტერს კადრების სკამზე მიუდიოდა სული, დამლაგებელი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ინსტიტუტს ამთავრებდა და დირექტორი კი ფრიად კმაყოფილი იყო თავისი დირექტორობით.

იყო ღვთისაგან დაწესებული დაწესებულება უწესრიგო შტატით და ერთადერთი გამწვავი ძალით — დამლაგებლით.

ერთ დღეს ხმა მოვიდა, დაწესებულებას საზოგადოებრივი ინფორმატორი სჭირდებაო.

რა თქმა უნდაო, გაეღიმა დირექტორს.

შტატითო? შეკადრა კადრების გამგემ.

საზოგადოებრივ საწყისებზეო, აუხსნა დირექტორის მოადგილემ. ბევრი იფიქრეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამლაგებელს უხმეს და ტაშის ქუხლით აირჩიეს საზოგადოებრივი კონტროლიორის პოსტზე.

და მაინც დამლაგებელი ისევ ალაგებდა, კადრების განყოფილება ყველაფერს კადრულობდა, ბუხჰალტერი ანგარიშობდა და დირექტორ-მოადგილეს უყოფდა, ოღონდ თანაბრად კი არა, — მელიასებურად.

დირექტორს დაურეკეს: თქვენი საზოგადოებრივი საწყისები ინდივიდუალურ ინიციატივას რატომ არ იჩენენო, გაარკვიეთ და გაგვარკვიეთ, თორემ ხომ იცითო...

უხმეს დამლაგებელს და შავი დღე აყარეს.

სად გძინავსო, გამოაფხიზლა დირექტორმა. შენი გულისთვის ჩვენ გვაწითლებენო, დაუცცხნა დირექტორის მოადგილემ.

თუ წინააღმდეგი ხარ, გვითხარი და მოგივლითო, ნავთი დაუსხა კადრების გამგემ.

საზოგადოებრივი დავალება საზოგადოებრივი დავალებაა, აუხსნა ბუხჰალტერმა.

დამლაგებელმა ცოტა ხნით საკუჭნაოს საქმეები გადადო და შეუდგა საზოგადოებრივი დავალების შესრულებას. იგი მრისხანე საზოგადოებრივი ინფორმატორი და კიდევ, უფრო მრისხანე საზოგადოებრივი კონტროლიორი გამდგა.

...მალე მოხსნეს არასპეციალობით დასაქმებული ბუხჰალტერი.

შემდეგ აკადრეს მოხსნა კადრების განყოფილების გამგეს.

ბოლოს მოხსნეს დირექტორი და მოადგილეც.

დამლაგებელი ამჟამად არის დაწესებულების დირექტორი საზოგადოებრივ საწყისებზე, ხოლო ახალი დირექტორი ამავე დროს ამავე დაწესებულების საზოგადოებრივი დამლაგებელია.

რ. ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲛᲗᲐᲨᲘ

ᲒᲐᲗᲣᲨᲘᲡ ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივი მალალმთიანი ქედისა და ხულის რაიონების მშრომელთა ხშირი სტუმარია. ამას წინათ თეატრმა თავისი დადგმები „ჩემი შვილი სიმონი“ და „ოჯახური აურზაური“ უჩვენა ხულოს რაიონული ცენტრისა და შუახევის მშრომელებს. ორივე სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ნ. ᲙᲐᲕᲚᲝᲕᲐ.

ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ, ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲘ — ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲗ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ). საქართველოს ფულისა და ნივთების 1964 წლის ლატარიის (მეოთხე გამოშვების) 07207 სერიის № 278 ბილეთით ჟუთაისის ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა მ. მგელაძემ მოიგო პიანინო.

ამავე გამოშვების ლატარიის 07767 სერიის № 275 ბილეთით მოქალაქე შ. ყიფიანს მოგებად ხვდა ტელევიზორი „რიკორდი“, ხოლო მესამე გამოშვების ლატარიის 30-კაპიკიანი ბილეთით მოქალაქე ი. ბუაძემ მოიგო 200-მანეთიანი მაცივარი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲚᲘᲛᲝᲕᲐᲡ 40 ᲥᲣᲚᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლეში გუშინ გრძელდებოდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის შეხვედრები. გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ ორ-ორი შეხვედრა.

ჩემპიონობის განაღდების შემდეგ ლატვიელი კალათბურთელები დარჩენილ შეხვედრებს ჩვეული მონდომებით აღარ ატარებენ. მათ გუშინ მესამე დამარცხება განიცადეს ამჯერად მოსკოვის „სერპი მოლოტთან“ 38:40.

ვერცხლის მედლების ძირითადმა პრეტენდენტმა ლენინგრადის სკა-მ დამარცხება განიცადა „ტექსტილმაშთან“ 51:52. ტაშკენტელმა სალიმოვამ თავის გუნდს 40 ქულა შესძინა.

აღმავლობით იბრძვის ლენინგრადის „ბურევესტნიკი“. მან მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ურალმაშთან“ (სვერდლოვსკი) 67:49.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 30 მაისი. (საკდესი). ზედიზედ მესამე—და ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ძიუდოისტებმა საფრანგეთში. 5:0—ასეთი ანგარიშით დამთავრდა ლიონში მათი შეხვედრა საფრანგეთის ნაკრებ გუნდთან.

მსუბუქი წონის მოჭიდაველთა შორის ო. სტეპანოვმა ქულებით მოუგო ჟ. დესმეს. მ. ლესნიუტორონი-ვ. ნატალუკოს და ა. ბურო-ა. ბოგოლუბოვის შეხვედრები დამთავრდა ფრედ.

ფრედ დამთავრდა აგრეთვე ლ. გროსენისა და ი. ციპურსკის, ჟ. ლებერისა და ვ. პანკრატოვის შეხვედრები. ევროპის ჩემპიონმა ა. ბონდარენკომ ქულებით მოუგო იაკუბოვიჩს (საფრანგეთი).

ყველა ჩვენმა მძიმეწონის მოჭიდაველმ მოიპოვა გამარჯვება: ვ. საუნინმა მოუგო ლემუანს (ფრანგმა მოჭიდაველმ მიიღო ტრავმა). პ. ჩიკვილაძემ წმინდა გამარჯვება მოიპოვა ი. რაიმანთან შეხვედრაში, ხოლო ა. კიკნაძემ მოუგო ჟ. დესაინს.

ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘ ᲨᲕᲔᲓ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲔᲡ მოხდა 27 მაისს, გაზაფხულის თბილ დღეს, ლუჟნიკში. სსრ კავშირ-შვეიცის მატჩის შედეგი ცნობილია. ამაზე ბევრი დაიწერა და დაწერილებითაც. მე მინდა გავიხსენო ერთი შეხვედრა, რომელიც თამაშის შემდეგ შვედ და საბჭოთა ფეხბურთელებთან მქონდა: ეს ჩემთვის დასამახსოვრებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთის როგორი გულშემატკივარი ვარ.

მატჩის შემდეგ გასახდელში კორესპონდენტებთან ერთად მეც მოვხვდი, შეკითხვები უამრავი იყო. ყველას ვერც ჩაიწერდი და ვერც დამახსოვრებდი. აი ზოგიერთი აზრი, რაც კორესპონდენტებიდან შეხვედრის საუბარში გამოითქვა:

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲘᲜᲘᲐᲜᲘ: *კარგი იქნებოდა მოსკოვში კიდევ ერთი ჭულის აღება, რატომღაც გვეგონა მესამე შეხვედრა მოგვიხდებოდა, იმიდს ვამყარებდით ჰელსინკის სტადიონზე, სადაც არ გვახსოვს დავმარცხებულიყავით. რა გაეწყობა!*

თამაში დაძაბული და საინტერესო იყო. საბჭოთა ფეხბურთელებმა, დაგვკბინეს. თქვენ გეყავთ ბრწყინვალე ჰავბეკი ვორონინის სახით. კარგი იყვნენ შესტერნეი და ჰუსაინოვი. ვფიქრობ, რომ ევროპის თასი კიდევ ოთხი წლით დარჩება მოსკოვში.

ᲑᲔᲡᲙᲝᲕᲘ: *კმაყოფილი ვარ ჩვენი ბიჭებით. მოვუგეთ ძალზე ძლიერ მოწინააღმდეგეს. გამახარა პონედელნიკის, ვორონინისა და მუდრიკის თამაშმა.*

აქ შემეკითხნენ ჩვენს მომავალ გეგმებზე. წინ დიდი ბრძოლებია. 17 ივნისს მადრიდში ვეთამაშებით დანიის ნაკრებს. კარგად გვაქვს შეგნებული, თუ რა სიძლიერის გუნდთან გვაქვს საქმე. იმ ფეხბურთელებიდან, რომლებმაც 1960 წელს ევროპის თასი მოიპოვეს, ამჟამად ნაკრებში თამაშობენ იაშინი, ივანოვი და პონედელნიკი. პირადად ჩემი სურვილია მათ გვერდში ამოუდგნენ მესხი და მეტრეველი. მათ ხომ დიდი ღვაწლი მიუძღვით პარიზის ტრიუმფში. ვწუხვარ, რომ ჯერჯერობით ჩვეულ ფორმაში არ არიან.

ᲰᲐᲛᲠᲘᲜᲘ: *ძნელია იმსჯელო თამაშზე, რომელშიც მონაწილეობდი. მაინც ვიტყვი, რომ კიყავი დაძაბული. ჩემს შეცდომად მიმაჩნია ის, რომ პირველ ნახევარში იაშინთან პირისპირ გასულმა ბურთი სიმონსონს გადავაწოდე. აჯობედა კარში დამერტყა. თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე მაინც მოვახერხე გოლის გატანა. ამან ჰელსინკში ჩასვლის იმედი აღგვიძრა, მაგრამ ვორონინმა საბოლოოდ გაქარწყლა ეს იმედი.*

ᲘᲐᲨᲘᲜᲘ: *მომეწონა შვედი თავდამსხმელები. ძალზე „შემეჩვია“ ჰამრინი. ბუროს რომ შემიგდებს, რუსულად მადლობას მიხდის, რას იზამ?*

ᲰᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲚᲔᲠ: *ვორონინი შეუდარებელია! იგი უდიდესი კლასის მოთამაშეა, შესანიშნავი სპორტსმენია.*

საუბრის დასასრულს შვედ ფეხბურთელებს ჰამრინს, ბერგმარკსა და მილდს, რომელიც შვეიცის ჰოკეისტთა ნაკრებშიც გამოდის, ავტოგრაფები ვთხოვე. ჰამრინმა ასეთი სტიკერებიც კი ჩამიწერა ბლოკნოტში:

**ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ